# სასოფლო გაზეთი

## პირველი წელიწადი

**გაზეთის ფასი:**

| [გ]აგზავნით ტფილისში [დ]ა გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: მან. |
|---|---|
| [ე]რთის წლისა — 7 მან. | — 6 |
| [ნ]ახევრის წლისა — 4 — | — 3 — 50 კ. |
| [ს]ამის თვისა — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

გამოდის სამშაბათობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**
ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ზებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.**

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

**№ 41. სამშაბათი.** I. **10 დეკემბერს 1868 წ.**

## შინაარსი:

— ქადაგება.—საოჯახო ცნობები.—სამეცნიერო ნაწილი:—თვისების გადაცემა მემკვიდრეობით.—ჭირი. შინაური ამბები. რუსეთის ამბები.—საექიმო ცნობანი: ავათმყოფის მოვლა.—ვირსვალი.

## ქადაგება

(თქმული ზაქათალის მაზრის სოფელს ყორაღანში ინგილოთათვის).

### ძმანო ქრისტიანენო

თქვენ არა ერთხელ ეკკლესიის გარეთ მეგობრულს საუბარში ჩემთვის გიკითხავთ: კაცს სიკვდილის შემდეგ ცხონება და მკვდრეთით აღდგომა ექნება თუ არა? დღეს ამ თქვენს კითხვაზე ეკკლესიაშიაც შეგვეფერის მოვილაპარაკოთ, რადგან დღესასწაულობთ ქრისტეს ბრწყინვალედ აღდგომას.

იესო ქრისტე, ვითარცა სთქვეს წინასწარმეტყველთა, მოვიდა ქვეყანაზე, განხორციელებული ქალწულისა მარიამისაგან, მოკვდა, დასაფლავდა და მესამესა დღესა წერილი სამებრ აღსდგა სამარიდგან და შეიქმნა დასაბამი მკვდართა აღდგომისა. მაშასადამე სიკვდილის შემდეგ კაცს მკვდრეთით აღდგომა ექმნება. მოციქული პავლე ბრძანებს: თუ ქრისტე არ აღსდგა, მაშ მე რა სარგებლობა მაქვს, რომ შრომას ვეწევი; ვჭამოთ და ვსვათ, რამეთუ ხვალ მოვკვდებით. მაგრამ არა, „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა“ აღდგომისა დასძენს იგი, კვალად დაარღვევს ეჭვსა, რომელიც დაბადებული ჰქონდათ გულსა შინა კორინთელთა, ვითარცა ეხლა თქვენზე სჩანს ძმანო; სიკვდილი და აღდგომა ყველას მოელის. იგივე მოციქული ბრძანებს: „კაცს წინ უძევს ერთგზის სიკვდილი.“ ეს სიკვდილი კაცის ბუნებაში შემოიტანა ცოდვამ და დასდვა მტკიცე საფუძველი ქრისტეს მოსვლისა და მკვდრეთით აღდგომისა. ცოდვამ დააბნელა და დაშხამა სასიკვდილო გესლით კაცის ბუნება და დაამხო იგი უკეთურებით, შეიტანა მის უხრწნელ ბუნებაში ხრწნილება და სასიკვდილო გესლი. მაგრამ ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და მისი დამხობილი ბუნებაც აღადგინა. თუ რომ იგი არ აღდგომილ იყო მკვდრეთით, მაშინ მისი სწავლაც და სარწმუნოებაც ფუჭი და უქმი იქნებოდა. ქრისტე ღმერთი აღსდგა და თავის საკუთარის სიკვდილით დაჰკოდა წელში და მოჰკლა კაცის სიკვდილი, რომელიც მას ცოდვამ შეამთხვია. რასაკვირველია, თუ ვითარ მოკვდება სიკვდილი სიკვდილით, ეს ჩვენთვის არის უცნაური საიდუმლო, მაგრამ მაინც და მაინც ჩვენ უნდა გვჯეროდეს და გვრწამდეს, ამისათვის რომ ქრისტე შემდეგ სიკვდილისა აღსდგა კაცის ბუნებით და ახლა მან დასჭრა პირველი ადამის ცოდვა, რომელმაც კაცს სიკვდილი შეჰძინა. ჩვენი წინაპარი ადამი—კაცი—უკვდავ—უბერებლად იყო შექმნილი; მაგრამ იგი მოკვდა ამისათვის რომ მისთვის მიცემული უკვდავ-უბერებელი უფლის სახე, ვითარცა წმინდა წყალი აამღვრიო ნაკადულში და ამისა გამო იქიდგან ერთ გვარი წყალი მომდინარეობდეს, ისრე ჩვენი წინაპარის—ადამის—ცოდვა და მადლი აირივნენ ერთი ერთმანერთში და აამღვრიეს იგი: ცოდვა და მადლი შეებრძოლნენ ერთმანერთს და კაცის სახეში ორივემ წილობა დაიდეს; კაცმა ველარ ჰყო უარი ვერც მადლსა და ველარც ბოროტს, ვინაიდგან მის ბუნებაში ჩაინერგა და ფესვი გაიბა კეთილისა და ცოდვისადმი მიმზიდველობამ, და ეს მიმზიდველობა მემკვიდრეობით საშვილი-შვილოთ ეხლა გარდამოიცემის ადამის მიერ ყველა მის შვილთა ზედა. სიდამპლე ყველას გაჰრევია გვამში და სცრის მას ყოველს ჟამს და განიტაცებს სიკვდილისადმი. ცოდვამ დააბნელა ღვთაებრივი სახე კაცისა და სნეულება შეამთხვია მის ბუნებას. მზის დაბნელების მგზავსად, იგი სარკესავით წმინდა, ცოდვამ უეცრად ჩამოაბნელა, შეურივა ლაქი და დასჭრა ისრე, რომ პირველი უკვდავი ჩვენი წინაპარი ადამი უეცრად ჩამოჰკნა და მოკვდა; მაგრამ-სამარეში ჩაიტანა თესლი ხელმეორეთ შეზავებისა და ამოღორძინებისა. მაშასადამე, მისი ბუნება და აგრეთვე ჩვენი ბუნებაცა, ვინაიდგან ვართ მისნი შვილნი, შეიცვალა და შეიცავს ძალას მკვდრეთით აღდგომისასას. ამისათვის წერილი ამბობს: „დაეთესვის ხრწნილებით, აღსდგების უხრწნილებით“. როგორათაც ადამის მიერ ყველანი მოკვდებიან, აგრეთვე ყველანი ქრისტეს მიერ აღსდგებიან, ამისთვის რომ იესო იყო მეორე ადამი შემდეგ პირველი ადამისა, ესე იგი

კაცობრიობისთვის და მკვდრეთითაც აღსდგა და იქმნა დასაბამი, ვითარცა ადამი იყო პირველი მოთავე კაცობრიობისა; მაშასადამე კაცთა სიკვდილი სამუდამო არ ყოფილა. კაცი სიკვდილს შემდეგ კიდევ გაცოცხლდება და იცხოვრებს სულიერად. მაშ თუ ეს ასეა, მე დიდის გულდაჯერებით უნდა გიპასუხოთ, ქრისტიანენო, თქვენს კითხვაზე, რომ კაცი სიკვდილის შემდეგ ოდესმე აღსდგების მკვდრეთით, ვინაიდგან უამისობა მის ბუნების წინააღმდეგობა იქმნება, უფრო ამისათვის, რომ იგი უკვდავ-უბერებელი იყო შექმნილი, ოდესმე ურწმუნო სადუკეველთა ჰკითხეს იესოს მკვდართა აღდგომისათვის და მან მიუგო: განა არ წაგიკითხავთ წერილში აღდგომისათვის მკვდართა, თქმული იგი ღვთისა მიერ, რომელსა იტყვის? მე ვარ ღმერთი აბრაამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი? არა არს ღმერთი მკვდართა. არამედ ცოცხალთა (მარ. თ. 12—26). ჭეშმარიტად, რომ მართალი არის. თუ რომ კაცი შემდეგ სიკვდილისა სულით და ხორცით მიწად იქცევა და უგრძნობელად უგზო-უკვლოდ შთაინთქმების სამყაროსაგან, შეერევის რა მას, მაშინ აბა რაღა საჭიროა ღმერთი მკვდართათვის, ის რაღასლა უშველის მათ და ან ღმერთი რათ იტყვის უარ მყოფებზე, რომ მე მათი ღმერთი ვარო. მაგრამ არა, რადგან კაცის სული ცოცხალია და ხრწნილი სხეული შეიცავს ძალას მკვდრეთით აღდგომისას, ამისათვის ღმერთი უფალი შემდეგ აბრაამის, ისაკის და იაკობის სიკვდილისა, ამბობს ამათზე: „მე ვარ ღმერთი აბრაამისი, ისაკისი და იაკობისი“. აი, უფალი იესო ქრისტე რა საუბარს მოგვითხრობს ამ აბრაამისას ერთს ცოდვილს მდიდართან საიქიოში. ეს სასიამოვნო საუბარი ნამდვილად გვიმტკიცებს, რომ კაცის სიცოცხლე ამ წუთისოფლით არ დასრულდება. აი, რაში მდგომარეობს ეს საუბარი: მოისმინეთ, ქრისტიანენო, და შთაინერგეთ გულში. იყო ვინმე კაცი მდიდარი. იგი იმოსებოდა მშვენიერის ტანსაცმელითა და სცხოვრებდა მეფურად. იყო აგრეთვე ერთი ვინმე წყლული გლახაკი, რომელსა ერქვა ლაზარე. გლახაკი მდიდარს უჯდა სახლის კარებს წინ და ელოდა მისგან მოწყალებას. მდიდრის სუფრაზე დანარჩენს პურის ნამტვრევებს ბიჭები მას უყრიდნენ და აი ამ გვარათ იგი გლახაკი იკვებებოდა. მაგრამ მისი მომეტებული უბედურება ის იყო, რომ იმას აქ ძაღლები ულოშნიდნენ წყლულსა. შემდეგში მოკვდა მდიდარი და მოკვდა გლახაკიცა. გლახაკი ანგელოზთა აღიყვანეს აბრაამის წიაღში, მდიდარი კი მისცეს ჯოჯოხეთში აუარებელს სატანჯველს. ჯოჯოხეთიდგან ცოდვილმა მდიდარმა იხილა გლახაკი ლაზარე განსვენებაში აბრაამის წიაღზე და ხმა-ჰყო დიდითა ხმითა: მამაო აბრაამ: შემიწყალე მე და მომავლინე ლაზარე, რომ დაასწოს თითი თვისი წყალში და გამიგრილოს ენა, მე ვიტანჯები ცეცხლის ალითა. მაგრამ აბრაამმა მიუგო: მოიხსენე შვილო! რომ შენ მიგიღია კეთილი წუთისოფელში, ხოლო ლაზარეს კი იქ სიმწარის და ბოროტის მეტი არა უნახავს რა; აი, ამისათვის ის აქ არის ნეტარებაში, ხოლო შენ კი იტანჯები. ამასთანავე თქვენს და ჩვენს შორის არის დიდი ღელე, რომელზედაც ვერც ჩვენ და ვერც შენ ერთმანეთთან ვერ გადავალთ.—მაშ თუ ეგრეა, უთხრა ცოდვილმა, გაგზავნე ლაზარე, ჩემს ძმებთან, მე ხუთი ძმა მყავს, რომ ისინი დაარიგოს კეთილ საქმეზე, რომ რა არის ისინიც ამ სატანჯველში არ მოვიდნენ.—აბრაამმა მიუგო, რომ იმათ აქვთ მოსესი და წინასწარმეტყველთა წერილნი, თუ ჰსურსთ, იმათი შეისმინონ; მაგრამ ცოდვილი მდიდარი მაინც და მაინ ევედრება: არა, მამაო, აბრაამ, თუ ვინმე მკვდრეთით აღსდგება და შეატყობინებს აქაურს ამბავს, მაშინ უთუოდ შეინანებენ.—აბრაამმა გადაუწყვიტა იმედი და უთხრა: თუ რომ მოსესი და წინასწარმეტყველთა მოძღვრება არ შეისმინეს არც მკვდრეთით აღდგომილს დაერწმუნებიან. ეტყობა, ძმანო ქრისტიანენო, ამ მდიდარს თავის ძმებითურთ არა სწამებია სამოთხე და ჯოჯოხეთი და ახლა კი დარწმუნებულია ეს სჩანს ამ საუბრიდამ. იგი გვიმტკიცებს რომ სულნი მიცვალებულთა საიქიოს ცოცხალნი არიან, რომ მკვდართა აღდგომა იქმნება, რომ სულნი წმინდათა საიქიოს არიან დიდს ნეტარებაში; ხოლო ავნი სულნი კი საუკუნოდ იტანჯებიან,—რომ მდიდარი ცოდვილი საიქიოდგან გველაპარკება, რომ აღდგომა შეიძლებაო; მართლაც თუ რომ მკვდართა აღდგომა შეუძლებელი იყოს, მდიდარი არა სთხოვდა აბრაამს საიქიოდგან საწუთოში ლაზარეს გამოგზავნას. სჩანს, ეჭვი არ არის, რომ მკვდართა აღდგომა და ცხონება იქმნება.

მაგრამ ნუ იფიქრებთ, ძმანო ქრისტიანენო, რომ კაცის მკვდრეთით აღდგომას მხოლოდ წერილი გვიმტკიცებს, და ბუნებაში ვერარას ვხედავდეთ მის დასამტკიცებელსა; არა, კაცის მკვდრეთით აღდგომის ნიშანს ბუნებაშიაც ვხედავთ. ბუნება ყოველ წლივ ყვავის, მაგრამ ზამთარში ისრე ფუჭდება, რომ ჩვენ გვგონია —თითქოს იგი მოკვდაო. აი, გაზაფხულზე იგი მშვენივრად აბიბინდება, მერე შემოდგომაზე იგი მთლათ განხმება. და ამ გვარათ ყოველწლივ ბალახი, ვარდი, ფოთოლი და სხვანი, ხან კვდებიან ხან ცოცხლდებიან, ხან აბიბინდებიან და ხან სრულიად ჩამოსჭკნებიან, და ისრე მუდამ სიცოცხლე ბრუნავს ბუნებაზე ყოველს არსებაში. მაგრამ ესენი ის არსებანი არიან, რომელთაც უსულოთ ვუწოდებთ. სულიერნი არსებანი, თუმცა მცენარეებსავით ჯერ არა ცოცხლდებიან, მაგრამ, უეჭველია, რომ იგინიც ქვეყნის დასასრულს აღსდგებიან. ძლიერ დიდი უგუნურება იქმნება, რომ ვთქვათ: კაცის გვამს ეს თვისება და ძალა აკლიაო და იგი სიკვდილის შემდეგ აღარ აღსდგებაო. არა, ამასაცა აქვს ეს თვისება და ძალა. ქრისტე ღმერთი ღვთისა სასუფეველს ამგზავსებს მიწაში ჩაფლულს კაცისაგან თესლს, რომელიც თუ ვითარ ამოღორძინდება და იზრდება, კაცმა არ იცის; მაგრამ ქვეყანა თვითონვე ნაყოფს აღორძინებს, ამწვანებს, თავთავს უკეთებს და მერე ავსებს მას მთელის მარცვლებითა და როდესაც იგი მოიწევა, მაშინ კაცი მიდის და მკის. სწორედ ასრეა კაცის საქმეცა, რადგან იგი იბადება, ცოცხლებსა, იზრდება, ბერდება და კვდება. თვით ეს კაციც ამ სასუფეველს ეკუთვნის. მკვდარი კაცი არის მარცვალი, რომელიც იმარხება მიწაში. აქ სხეული მისი იხრწნება მჟავდება და ფუვდება, მჟავდება და ინახება იქვე მიწის გულში ვიდრე წარივლინებოდნენ ანგელოზნი მათ შესაკრეფათ ოთხთა კიდეთაგან და ზეცა მოუწოდებდეს ქვეყანასა განრჩევად ერისა თვისა. მოვა ჟამი, ოდეს მკვდარნი გაიგონებენ ხმასა უფლისასა და გაცოცხლდებიან, ამბობს წერილი. აბა როგორ შეიძლება, რომ ღმერთმა თავის სახით შექმნილი კაცი საუკუნოდ განაქროს, ხეს, ბალახს და სხვათა, კი ხელმეორედ სიცოცხლე მიანიჭოს. არა, ეს შეუძლებელია. კაცი, ვითარცა ბრძანებს დაბადება, არის მეფე ყოველისა არსებისა, და აბა როგორ შეი-

ლება, რომ მეფე სამუდამოთ მკვდარი იყოს, ხვანი მასზედ მცირედნი კი აღსდგნენ. აი, რას ამბობს კაცზე იესო ქრისტე: ა რ ა ო რ ი ს ი რ ი ა ს ა რ ი ს განსყიდებისა? და ერთიცა მათგანი არა დავარდების ქვეყანასა ზედა თვინიერ მამისა თქვენისა. ხოლო თქვენი თმანიცა თავისანი ყოველნი განრაცხილ არიან. ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალნი უმჯობეს ხართ თქვენ. მაშასადამე უეჭველია. რომ კაცი აღსდგება დიდებით. ვითარცა მზე დილით ამოდის და საღამოთი ჩადის, აგრეთვე კაცი იბადება, ცოცხლობს, კვდება და სოფლის დასასრულს აღსდგება. ვიდრემდე კი ვითარცა ბრძანებს ...ურილი, გვამი კაცისა თესლის მზგავსად მიწაში აფუვდება და დალივდება და მერე ჩაუდგება სული და სიცოცხლე და აღსდგება და მაშინ მიეცემა ყველას სამართალი ცხოვრების ...ხა გვარად. ავი სული მწარედ დაიტანჯება, კეთილი კი მუდამ იმხიარულებს.

ს კეთილ-გონიერება მოითხოვს, ძმანო ქრისტიანენო, რომ რადგანაც მკვდრეთით აღდგომა იქმნება და ყველა კაცს თვის ცხოვრების დაგვარად საჰსჯელი გადახდება, ბრძანებისამებრ უფლისა ვატარებდეთ წუთისოფელში ჩვენს ცხოვრებას. კეთილს მუდამ მივმართავდეთ და ბოროტს ვერიდებოდეთ. ერთმანერთი გვიყვარდეს, გლახაკს განიკითხავდეთ, ვიქმოდეთ კეთილის საქმეთა, გვახსოვდეს ღმერთი, რადგან ესენი საჭიროა ჩვენის ცხონებისათვის; ჩქარა-ჩქარა წარმოვიდგენდეთ ლაზარეს ბედნიერებას კეთილისათვის და მდიდრის ტანჯვას უკადრისობისა და ბოროტისათვის. ვეცადნეთ ვიდრე ცოცხალნი ვართ შევძინოთ ჩვენს სულს ყოველ გვარი სათნოება, ვინაიდგან შემდეგ სიკვდილისა არა არს სინანული. სამარეში ბოროტს ნუ ჩავიყოლებთ, არამედ სათნოება, რადგან უამისოთ ცხონება არ შეიძლება. მაშ თუ ასრეა, ვევედრნეთ უფალს, რომ იგი იყოს ჩვენი შემწე კეთილს საქმეში. ვევედრნეთ აგრეთვე, რომ მან მოწყალებისა წყარომ, მოგვცეს გულისხმის-ყოფა, რათა ვიცოდეთ, თუ ვითარ ჯერ არს თაყვანისცემა დიდება მისი ჩვენის სათნოებითა, რომ, რა არის, გაბედვით შეგვეძლოს მასზე თქმა: ღმერთო! წ მ ი ნ და ი ყ ა ვ ნ სა ხ ე ლ ი შ ე ნ ი.

მღვდელი დ. ჯანაევი.

1868 წელსა.

---

## საოჯახო ცნობები.

შენახვა მჟავე კომბოსტოსი. თეთრი კომბოსტოს თავები ოთხათ გასჭერით გვერდები და მურკი ჩამოართვით, ჩააწყეთ ბოჩკაში, აავსეთ, დააფარეთ და დაჰფისეთ. წყლის ჩასასხმელიდან, დაასხით ღვინო ნახევარ წყალგარეული, ცოტა მარილი და პურის ცომის დედა იყოს გახსნილი ღვინოში, აავსეთ ამითი, დაუცეთ და დაჰფისეთ; მარანში ქვიშაზედ დაჰსდგით, მალ მალ ხან ერთ თავზედ დასდგით, ხან მეორე თავზედ,—ყოველ დღე,—ზოგი მთელსაც გააწყობს.

დამჟავება დაკეპილის კომბოსტოსი.—წვრილი თავი კომბოსტოსი დასჭერით, მურკები ჩამოაცალეთ, და დაკეპეთ. მერე მოხარშეთ წყალში მერე გადაწურეთ საჩქაროთ, თბილთბილი ჩადევით კასრში, დააყარეთ ზეიდგან, კამა, ტმენი, მარილი, და დაასხით მარილწყალი, მარილი ცოტა ჰქონდეს. დაფისეთ ფიცარი და დაადეთ ქვა.

დამჟავება ჭარხლისა, ბორჩისათვის. გაფხიკეთ ჭარხალი ქერქისაგან, გარეცხეთ. ჩააწყეთ, კასრში, ან ქილაში, ან ბანკაში, დააყარეთ ტმენი, და დაასხით ცივი წყალი, ცოტა ცომი გახსნილი თბილ წყალში, დაასხით ჭარხალს, დაფისეთ ხის თავი ასე რომ სული არ დაეფაროს ჭარხალს, ამას ტილო გადააფარეთ, დადევით თბილს ალაგას, რომ ადუღდეს, წყალი თავამდინ არ უნდა ესხას, რომ ქაფს ადგილი ჰქონდეს დუღილში.—როცა ბორჩს ხარშავდეთ, ძმარს ნუ უზმენ, გემოსართმევს ჭარხალსა, ჭარხლის კვასი იხმარონ ძმრათა,—პურის ცომი გახსნილი მალე ამჟავებს ყოველს ბალახეულობას.—თუ თბილათ იქნება ჭარხალი დადგმული, სამდღეზედ ადუღებს; ოცდა შვიდ გარნეცს ჭარხალს ერთი გარნეცი ფქვილი მოუნდება.—

კარტოფილის ვაშლები ანუ სათესლე.—რომელიმე ამ კარტოფილის სათესლეს წნილით ხმარობენ.—როდესაც ჯერ მკვახე არის და მწვანე დაჰკრეფენ გარეცხენ წყალში, ჩაყრიან მარილ წყალში ორი დღე და ღამე. მერე ამოიღებენ მარილწყლიდგან და ხარშვენ ნელ ცეცხლზედ ძმარში, ასე რომ ნახევრად ბრწყინავდეს, მაგრამ ძალიან არ იყოს რბილი,—ძმარს ხარშვაში პიტნას უზმენ; კამას და ცოტა მიხაკსა და ჯავზის ყვავილს, ან დაფხეკილ ჯავზსა. მერე ძმარს გააცივებენ, და ბანკაში, ან ქილაში ჩაასხმენ ერთად კარტოფილის ვაშლებთან.

---

## თვისების გადაცემა მემკვიდრეობით.

ხოვეკერ ამტკიცებს, რომ ორას თექვსმეტ ცხენში, რომელნიცა ერთი ფერისა იყვნენ, მხოლოდ თერთმეტს არ დაებადა დედ-მამის ფერი კვიცები, თორემ სხვებს ყველას დედმამის ფერი დაჰყვა.

დარვინი წარმოგვიდგენს ბევრს მაგალითებს, სადაც პირველსავე შთამომავლობაში ჩნდება დედ-მამის თვისება და მერე სხვა ჯიშშიც რომ დაერთოს, მაინც ძნელათღა გადაუვა დაყოლილი თვისება. ხშირად მოჰყავდათ ის შემთხვევა, რომელიც ლორდს მორტონს შეუნიშნავს. იმასა ჰყვანდა რუხი ჭაკი გარეული ცხენისა, სახელად კვაგისა. კვაგა ძალიან ჰგავს ცხენსა, მაგრამ ტანი თეთრი ზოლებით აქვს დასერილი და მოკლე ქოჩრიანი აბუძგული ფაფარი აქვს. ლორდმა მორტანმა დართო ამ ჭაკს კვაგგას რუხი არაბის მოდგმის ულაყი, რომლიდგანაც ეყოლა კვიცი და მერე გაუგზავნა აუზლეის და იქაც ორი კვიცი შობა შავი არაბულ ცხენისაგან. ეს კვიცები საკვირველი ფერისანი გამოვიდნენ. ფეხები ზოლებიანი დაჰყვათ, როგორც კვაგასა. ერთს იმათგანს კისერზე და სხვა ადგილებზედაც კი დაჰყვა ზოლები. ფაფარი როგორც კვაგას ქოჩოსავით ჰქონდა აბუძგული ორივე კვიცებსა. დარვინი ამბობს ამასთანავე, რომ ბევრი სარწმუნო მაგალითები უცნობებიათ ჩემთვისაო, სადაც დედის თვისება შორს გასტანს შთამომავლობაშიო.

ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი თვისებანი ორივე შეიძლება გადაეცეს შვილსა და შვილის შვილს დედ-მამისაგან. ერთ კაცს, სახელად ლამბერტსა, ეძახდნენ ზღარბ-კაცასა (ბუძგ-კაცასა). იმასა ჰქონდა ტანზე მეჭეჭებსავით დაყრილი და დროსა და დროს განმაველობაში სცვიოდა ტანიდგან; იმასა ჰყავდა ექვსი შვილი ექვსი მამასავით მეჭეჭებიანი და ორს იმის შვილის შვილსაც ამისთანა თვისება გამოჰყვა. სიამის სახელმწიფოში ერთ სახლობაში შვილი და შვილის შვილი სამ ნათესაობაზე ზედის ზედ გამოდიოდნენ თმით ტანთ მოსილები და კბილები კი აკლდათ. დოქტორმა ხოჯკინმა უამბო დარვინსა, რომ ერთი სახლობა ვიცოდი, სადაც მამაშვილსა და შვილის შვილს თავზე ერთი მუჭა თმა დანარჩენს თმას ფერით ერჩეოდა ხოლმეო.

ამავე ირლანდიელმა უთხრა დარვინსა, რომ ჩემს ბებიასაც თავის მარჯვენა მხარეზე ჰქონდაო ერთი მუჭა თმა ამ გვარივე ფერისა, როგორც მე მაქვსო და ჩემს ქალსაც იმ გვარივე თმა მარცხნივ მხარეზე. დარვინი ამტკიცებს, რომ ზოგიერთი მცირედი რამ ჩვეულება და ხასიათიც კი გადადის შვილზე დედ-მამიდგანაო. მამას ჰქონდა ჩვეულება გულაღმა ძილისა და მარჯვენა ფეხს გადადებდა მარცხენაზე. იმასა ჰყავდა ქალი, რომილსაც აკვანშივე დაჰყვა ამ გვარი ჩვეულება. ერთმა ყმაწვილმა იცოდა თითების ნძრევა რაღაც ნაირათ და ამ დროს ორივე ხელებს პირზე მიიფარებდა, როცა რამე აღელვებდა და სიბერეშიაც ვერ მოიშალა ეს ჩვეულება. ოთხი წლის ნახევრისა იყო იმისი ქალი, როცა გამოაჩნდა ამგვარი ჩვეულება. სრულებით უნებურათ მოსდიოდა და ცალკე რომ იყო, მაშინაც კი არ იშლიდა ხოლმე თითების ნძრევასა.

ლაზარეთებში დაკვირვებით ასში ორმოცდა ათ კაცს მემკვიდრეობით დაჰყვება ხოლმე ქარები. ძერძოობით ცხოვრებაში შენიშვნა კიდევ უფრო ამტკიცებს ამასა. ყველამ იცის, რომ შეშლილობა მემკვიდრეობით გადადის შთამომავლობაზე.

ანდრუ ნაიტმა და ლინდლეიმ შენიშნეს, რომ მცენარის ავათმყოფობა შთამომავლობაზე გადადის.

შემთხვევით გადასული რაიმე გვარათ თვისება შთამომავლობაზე ზოგჯერ შესაძლებელია გახდეს იმ გვარ მკვიდრ ნიშნათ, რომლითაც განირჩევა ერთი გვაროვნობა მეორესთან, შემთხვევით დაიბადა ერთ ყურიანი თეთრი კურდღელი და იმის შემდეგ მთელს შთამომავლობას მარტო თითო ყურები დაჰყვა. უფრო ხშირად ამისთანა განსაკუთრებულს თვისებას სიჯუჯავეს ეტყვიან და ამის შთამომავლობაში სიმკვიდრე არა აქვს, მალე ჰქრება. ანდერსონი მეორე შემთხვევასაც მოგვითხრობს. ძაღლმა შობა სამ ფეხა ლეკვი და შემდეგ ამ სამ ფეხა ლეკვის შთამომავლობა სულ სამ ფეხიანები გამოვიდნენ. ყოფილა იმისთანა შემთხვევა, რომ კაცი ექვს თითიანი დაბადებულა ხელზე და ფეხზე; მოუჭრიათ კიდეცა მეექვსე თითი, მაგრამ ხელმეორეთ ამოსვლიათ და ეს შთამომავლობაში გადასულა მემკვიდრეობით.

თუ ორივე დედ-მამას ერთი და იგივე ხასიათი აქვს, მაშინ შთამომავლობაში უფრო ძლიერდება ეს ხასიათი. ამბობენ, თემურლენგს ერთი მშვენიერი არაბული ულაყი ცხენი ჰყავდაო, რომელსაც ცალი თვალი დაემსო და ჯოგში გაუშვეს. იმისი კვიცები ყველა ცალთვალები იყვნენ. ერთ სახლობაში ქალი და კაცი, როგორც კი ორმოცი წლისა შეიქმნებოდნენ, მაშინვე შეიშლებოდნენ.

მერინოსის მოდგმის ცხვარს ეტყვიან იმისთანა ცხვრის ჯიშსა, რომელიც პირველად ისპანიაში გააჩინეს და შემდეგ სხვა ევროპის სახელმწიფოშიაც გამრავლდა. ამ ცხვარსა აქვს მშვენიერი, ძალიან წმინდა ბეწვი, თითქოს აბრეშუმის ქსელიაო. თუ მერინოსის ჯიშში უბრალო ცხვრის ჯიშს დაერთო, შთამომავლობას მატყლი გაუკეთდება და შეიძლება ბეწვის სიკეთით კიდეც შეატყოს კაცმა რომელ მუხლზე დართვია მერინოსი უბრალო ცხვარსა. წმიდა მერინოსს ერთი აბაზის ოდენა ადგილზე ორმოცი, ან ორმოცდა რვა ათასი ბეწვი ამოსდის; უბრალო ცხვარსა ხუთი ათას ხუთასი ბეწვი ამოდის. ოთხს შთამომავლობაში უბრალო ცხვრის ჯიშს რომ მუდამ მერინოსი დაერთოს ხოლმე, აბაზის ოდენა ადგილზე რვა ათასი ბეწვი დაეთვლება. ახლა მეოცე შთამომავლობაზე რომ დასთვალონ, ბეწვი ისეთი წმინდა დაჰყვება, რომ აბაზის ოდენა ალაგზე ოცდა შვიდი ათასი ბეწვი ამოსდის.

ხიბეცე და შორს მხედველობაც ხშირად გადადის შთამომავლობაზე. უბრალო ხალხში ბეცი თითქმის არ არის.

მეხომალდენი ძალიან შორს მხედველნი არიან, მაგრამ სამხრეთ ამერიკაში რომ კუნძულია, სახელად ცეცხლის მიწა, იქაური მცხოვრები კიდევ უფრო შორს მხედველი გამოჩნდა.

ფეხის გულებზე კაცს კანი უსქელდება იმიტომ, რომ მუდამ დადის, და ეს კანის სისქე მემკვიდრეობით გადადის, ასე რომ ახალ დაბადებულსაც ფეხის გულზე კანი უფრო სქელი აქვს, ვიდრე სხვა ალაგებზე.

## ჰაერი.

მიწას გარს არტყია ჰაერი, რომელიც შეადგენს მიწის კანსა; ამ კანსა აქვს სისქე ანუ სიმაღლე შვიდიდგან ცხრა გეოგრაფიულ მილამდე (ერთი მილი არის შვიდი ვერსი). ძველ დროში ეგონათ, რომ ჰაერი ერთი განუყოფელი ნაწილიდგან არის შემდგარიო, მაგრამ მერე, ამ ბოლოს დროს, გაჰყვეს და ამოჩნდა, რომ ჰაერი არის შემდგარი ორის ნაწილიდგან: ერთი მჟავ-მბადი და მეორე აზოტი. პირველისა არის ას ნაწილში ოცდაერთი და მეორისა სამოცდა ცხრამეტი ნაწილი. გარდა ამათა ჰაერში კიდევ სხვა ნაწილებიც არიან; ნახშირ მჟაველის გაზი (გაზს ეტყვიან ყოველს ჰაერის გვარს არსებას) და ორთქლები, მაგრამ ესენი არიან უზომოდ — ზოგან ბევრი და ზოგან ცოტა; გარდა ამისა ეს ნივთები ძალიან ცოტა არიან ჰაერში.

მჟავმბადი არის უფერო, უგემოვნო და უსუნო გაზი; ესა შველის სუნთქვასა და წვასა: ნივთები იწვებიან და ცხოველნი სუნთქვენ იმიტომ, რომ ჰაერში მჟავმბადი არის; მაგრამ მარტო მჟავმბადში ვერავინ იცხოვრებს, იმიტომ რომ მარტო იმაში კომლიანი ნედლი მუგუზალი ენთება როგორც სანთელი და ცხოველი რომ ჩასო იმაში, მეტის მეტი აჩქარებული სუნთქმისაგან მალე მოკვდება. ჰაერში ცხოველი იმიტომა ცხოვრობს, რომ ის არის შემდგარი ორის გაზისაგან; ერთი მჟავმბადი და მეორე აზოტი, რომელიც არ უშვებს, რომ მჟავმბადმა ძალიან იმოქმედოს.

აზოტიც აგრეთვე არის იმისთანა გაზი, რომელსაც არც ფერი, არც გემო და არც სუნი არა აქვს; ეს არა შველის არც წვასა და არც სუნთქვასა; ცხოველი ამ გაზში კვდება, ანთებული ნივთი, ერთწამსვე ქრება.

ჰაერსა აქვს სიმძიმე და იმ გვარი არის, რომ ძალიანაც იწევა და იკუმშება კიდეცა; ამაზედ შეიძლება დავრწმუნდეთ შემდეგით: ბუშტში ჩავბეროთ ცოტა ჰაერი მოვკრათ თავი და ზედ დავადოთ მძიმე ქვა; მერე ეს რომ შევდოთ ჰაერის ზარში და ზარიდგან ტუმბოთი გამოვწოვოთ ჰაერი, მაშინ ვნახავთ, რომ ბუშტი სწრაფლად გაივსება და ქვასაც გადააგდებს, რომელიც ჰაერზედ რამდენიმე ათასჯერ მძიმე არის. ჰაერის ბოძი, რომელსაც ერთი კვადრატი დუიმი (ნახევარ ვერშოკზე ცოტა მეტი) სიგრგვლე აქვს, იწონს თოთხმეტ გირვანქასა და სამოცდა ჩვიდმეტ მისხალსა; რამდენიც ამაზედ მეტი სიგანე აქვს ნივთსა, იმდენჯერ მეტის სიმძიმით უნდა დააწვეს ჰაერი. რადგანაც კაცის ტანის ზომა არის თითქმის 1378 კვადრატის დიუმამდე, მაშასადამე იმან უნდა

აიტანოს სიმძიმე ხუთი ათასი ფუთისა ჰაერის დაწოლითა. მაგრამ ამ სიმძიმეს ჩვენ ვერა ვგრძნობთ. ეს არის იმის მიზეზითა, რომ ჰაერი ყოველის მხრიდგან გვაწვება, და ამიტომ ვერა ვგრძნობთ, რომ ერთი მხრიდგან მოწოლას ელევა ღონე მეორეს მხრიდგან მოწოლითა. ტანის შიგნიდგანაც ჰაერი ერთისავე ღონით გვაწვება, თორემ შიგნიდგან რომ არ იყოს იმისი მოქმედება და მარტო გარედგანა, მაშინ გავიჭყლიტებოდით. ამაზედ შეიძლება დავრწმუნდეთ შემდეგით: რომ ავილოთ ორი თუჯის ქვაბი და პირები ერთმანერთზე ისე გამოვაწყოთ, რომ გარედგან ჰაერი არ შევიდეს, და მერე ერთი რომელიმე გვერდიდგან გაუკეთოთ კრანი, რომლიდგანაც ტუმბოთი ჰაერი გამოვწოვოთ, მაშინ ვნახავთ, რომ რაც უნდა დიდის ღონით ვგლიჯოთ ქვაბები ერთმანერთზე—ვერ მოვაცილებთ. თუნდა ქვაბებს აქეთ იქიდგან ყურები ჰქონდეს გაკეთებული და ზედ რამდენიმე უღელი კამბეჩი შაუბათ, მაინც ვერ გავგლეჯავთ ქვაბებსა, თუ შიგნიდგან ჰაერი სულ გამოწოვილი არის. ეს არის იმიტომა, რომ შიგნიდგან ჰაერი აღარ აწვება და გარეთი ჰაერი კი აწვება; მერე გარედგან აწვება ისე ღონივრათ, რომ რამდენიმე უღელ კამბეჩს ვერ გადუძლავს იმისი ღონე. მერე კამბეჩები რომ გამოუშოთ და კრანიდგან ჰაერი ჩაუშოთ ქვაბებში, მაშინ ქვაბები თითონ გადიშლებიან. ეს ამიტომ, რომ ქვაბებში ჩასული ჰაერი მოაწვა შიგნიდგან იმავე ღონითა, როგორითაც გარეთი ჰაერი აწვებოდა ქვაბებს გარედგან. სწორედ ამ გვარადვე არის, რომ თუმცა გარედგან ჰაერი გვაწვება ხუთი ათასის ფუთის სიმძიმითა, მაგრამ ჩვენ ვერა ვგრძნობთ ამასა იმიტომ, რომ შიგნიდგანაც ჰაერი ამოდენისავე ღონით პასუხსა ჰსცემს.

სითბო ჰაერისა იცვლება მალ მალ და არის დამოკიდებული ადგილის მდებიარებაზედ, ქარზე, მოწმენდილ ცაზე და სხვა მიზეზებზედ. შუათანა სითბო რომელსამე ალაგს არის უფრო მცირედი, რამოდენითაც იმ ადგილის სიმაღლე ზღვის პირიდგან მეტი არის. (შუათანა სითბოს იმას ეძახიან, რომ ვსთქვათ დღეს არის თბილი დღე, ხვალ წვიმა, მაშასადამე ცივი დღე: მთელს თვეში რამდენიც თბილი დღე გამოვა თუ იმდენი ცივი გამოვიდა შუათანა სითბო იქნება არც თბილი არც ცივი არამედ ნელ-თბილი ჰავა.

რამდენათაც მთაზე ზეით ახვალთ, იმდენათა სხვა და სხვა გვარ მცენარესა ნახავთ. ეს ამიტომ, რომ ზეით ჰაერი უფრო ცივი არის, ვიდრე ქვევითა; და რადგანაც ყოველი მცენარე თხოულობს თავის ზომიერ სითბოსა, ამიტომ სხვა და სხვა მთის სიმაღლეზედ იზდება, სხვა და სხვა გვარი მცენარე: ქვეით იზდება ის მცენარე, რომელიც ბევრს სითბოსა თხოულობს, ზეით—რომელიც ცოტასა. ამ გვარად ზოგი ერთ მთას რომ აჰყვეს კაცი, ნახავს, რომ მთის ძირში იზდება ისივე მცენარენი, რომელნიც იმ ადგილის მინდვრებზედა, მერე უფრო ისინი, რომელნიც უფრო ცივ მხარეს ეკუთვნის. ზოგ მთაზე ასვლით კაცი ყოველი მხარის მცენარესა ნახავს: სამხრეთისას ჩრდილოეთისას და სხვ.—ზოგიერთი მთების ძირში არის ის მცენარენი, რომელნიც ეკუთვნიან სამხრეთის მცენარეთა, პატარა ზეით მცენარე ემსგავსება უფრო შუათანა ჰავასა, მერე წვერზედ იზდება მხოლოდ ხავსი, ჩრდილოეთის მცენარენი. ამ გვარადვე არის მთელი მიწის სიმრგვლეზე სამხრეთიდგან, რომ ამოჰყვე ჩრდილოეთამდე.

ჰაერი სითბოსაგან იწევა და დიდს ადგილს იჭერს; სიცივისაგან იკუმშება. მაგრამ ერთი ზომის ჰაერსა თუნდა დიდი ადგილი ეჭიროს თუგინდ პატარა, მაინც წონა ერთი აქვს. როდესაც ერთს ადგილს მიწა ძალიან გათბება და თავის სითბოს ჰაერს გადასცემს, მაშინ ეს ჰაერი დიდს ადგილს დაიჭერს, მაგრამ წონა კი პატარა აქვს, ვიდრე იმ ადგილსა სადაცა ცივა; ამის გამო ჰაერი მოკუმშულია და ცდილობს უფრო დიდი ადგილი დაიჭიროს. მაშინ ეს მძიმე ჰაერი ეტანება თბილი ჰაერისაკენ და იმის ადგილის ცვლის დროს მოხდება ხოლმე ქარი. ამაზედ შეიძლება დავრწმუნდეთ შემდეგით: თბილი ოთახის კარი რომ გავაღოთ და სანთელი მივიტანოთ ჯერ კარების თავში, მაშინ სანთლის ალი გარეთკენ გადაიხრება; ეს ამიტომ რომ მსუბუქი ჰაერი ზეით არის და გადის ოთახიდგან, რომელსაც მიაქვს უკან სანთლის ალი; მერე კარის ძირას რომ დავდოთ სანთელი, მაშინ სანთლის ალი შიგნით ოთახისკენვე გადმოიხრება; ეს ამიტომ რომ ზეიდგან გასული მსუბუქი არი, გადის გარეთ და იმის ადგილს იჭერს გარედგან შემოსული მძიმე ჰაერი. ბუნებაშიაც სწორედ ასე ხდება ხოლმე ქარი, როგორც ოთახში: მზისგან გაცხელებული ჰაერი იწევს, მსუბუქდება და ზევით ადის, იმის ადგილს იჭერს ცივი ჰაერი, რომელიც უფრ მძიმე არის და ამის გამო ჩამოდის მთიდგან ძირს. ამ სახით შეიქნება ჰაერის დენა ერთი ადგილიდგან მეორე ადგილს, რომელსაც ვეტყვით ჩვენ ქარსა. ქვეით რომ ერთის მხრიდგან უბერავს მძიმე ჰაერი, მაშინ ზეით იმის პირდაპირ უბერავს მსუბუქი ჰაერი.

ქარს დიდი მოქმედება აქვს ჰაერის სითბოზედა, ამიტომ რომ ხან ერთის მხრიდგან უბერავს და ხან მეორის მხრიდგან. როდესაც სამხრეთიდგან უბერავს ქარი, მაშინ ჰაერსა სითბო მოაქვს და როდესაც ჩრდილოეთიდგან, მაშინ სიცივე.

ჰაერში არის სისველე. ეს სისველე ხან ბევრია ჰაერში, ხან ცოტა. ამიტომ ამბობენ, რომ ჰაერი ძალიან სველიაო, ან ძალიან მშრალიაო. როცა მშრალ ნივთს სდებენ სველ ჰაერში, მაშინ ის ნივთიც ძველდება, ასე რომ შემდეგ რომ აწონონ უფრო მძიმე მოვა, ვიდრე უწინ.

ეს ჰაერის სისველე იქცევა ხოლმე წყლათ და ამიტომ ჩნდება ღრუბელი, ნამი და წვიმა. როდესაც რომელიმე ნივთი ცივი არის და ჰაერი კი თბილი, მაშინ იმ ნივთს ჰაერიდგან ედება სისველე. ამის გამო ღამე მიწაცა და მცენარეებიც მალე ცივდებიან და დილით ამიტომ იმათზედ ჩნდება ნამი. როდესაც ამ ნივთებს სითბო სრულებით აღარა აქვსთ, მაშინ ამ ნამს გაჰყინავს და ედება რთვილი. ნამი ზოგან ძალიან იცის და ზოგან ცოტა. ზღვის პირს, ანუ მდინარის პირს ნამი ბევრი იცის, ამიტომ რომ წყლიდგან ჰაერი ბევრს სისველეს იღებს. იმ ადგილებში კი, სადაც წყალი არ არის, ზოგან ნამი სრულებით არ იცის, ანუ მოდის ძალიან ცოტა.

როდესაც ჰაერში ძალიან მეტი სისველე არის, ასე რომ წყლის წვეთებივით კეთდებიან ჰაერში, მაშინ ჩნდება ხოლმე ჯანყი. როდესაც მდინარის წყალი, ანუ ტბისა და ზღვისა უფრო თბილია, ვიდრე ჰაერი, მაშინ წყლიდგან ამოდის ორთქლი. ეს ორთქლი მერე ცივდება ჰაერში და ამ წყლებს ედებათ ჯანყსავებ. ამაზედ ყველა დარწმუნდება თუ ზამთარში უყურა ჭასა: ჭის წყალი ზამთარში თბილი არის ჰაერზედა და ამიტომ წყალს ასდის ნისლსავებ ორთქლი. ანგლიაში და ნორვეგიაში ძალიან ხშირად იცის ჯანყი შემოდგომობით; ეს იმიტომ რომ იქ გარეშემო თბილი ზღვა არტყია.

როგორც ჯანყი არის წყლის ორთქლი, აგრეთვე ღრუბელიც ის არის. ერთმანეთიდგან განირჩევიან მხოლოდ იმითა, რომ ერთი ახლოა და მეორე შორს. ერთი კაცი, რომელიც მთის ძირიდგან უყურებს მთის წვერსა, მაშინ ხედავს მთის წვერზე ღრუბელსა, მეორე კაცი, რომელიც მთაზედ არის, ისა ხედავს იმავე ღრუბელსა, იქვე მაგრამ იძახის ჯანყი არისო. წვიმა მოდის მაშინ, როდესაც ღრუბელი ჩამოდის მიწაზედა. მაშინ ღრუბლის ბუშტები ეკვრება ერთმანეთზე გახდება წვეთად და ეცემა ძირსა, სადაც ჰაერი გაჟღენთილია სინესტითა: ეს სინესტეც ღრუბლის ბუშტებს ემატება, იზდებიან და მიწაზედ ეცემიან წვიმის წვეთებივით. ეს არის მაშინ, როდესაც ჰაერში სითბო კიდევ არის; როდესაც ჰაერში სითბო ცოტა არის, მაშინ ეს წვეთები ეცემიან თოვლად, ანუ მაშინ მოდის თოვლი. ხანდისხან მთაზედ თოვლი მოდის და მინდორზე წვიმა. ეს ამიტომ მთაზე ცივა და ძირს თბილა. ხან თოვლი და წვიმა ერთად მოდის; ეს არის მაშინ, როდესაც ზოგი დნება ძირს დაცემამდინ, და ზოგი კი გადნობას ვერ ასწრობს.

თბილ დროს, ზაფხულში უფრო სხვილი წვიმა მოდის, ვიდრე შემოდგომაზე. ზაფხულში ბევრჯერ დიდს კოკურს დაუშვებს ხოლმე; შემოდგომაზედ ჟინჟღლსა, რომელიც ჯანყსა გავს. წვიმის მოსვლა არის დამოკიდებული ქარზე: როდესაც სამხრეთ-დასავლეთიდგან მოქრის ქარი, რომელსაც ნამიანი ჰაერი მოაქვს, მაშინ დიდი წვიმა მოდის, და როდესაც აღმოსავლეთ-ჩრდილოეთიდგან მოქრის, რომელსაც მშრალი ჰაერი მოაქვს, მაშინ წვიმა ცოტად მოდის.

ხანდისხან წყლის წვეთები ჰაერში ცივდება და მოდის ხორხოშელასივით. როდესაც ხორხოშელა არის მსხვილი, მაშინ ეძახიან სეტყვასა. სეტყვა არის შიგნიდგან თოვლი და გარედგანა აქვს შემორტყმული ყინული. უფრო ბევრჯერ სეტყვა მოდის მუხუდოს ოდენა, ზოგჯერ კი ქათმის კვერცხის ოდნებიც არიან, რომლის წონა სამ ჩეთვერამდე მიდის. ევროპაში სეტყვა ყოველთვის მოდის ძალიან სიცხიან თვეებში, შუადღის დროს და ღამით კი იშვიათად მოდის. სეტყვის წინათ ყოველთვის არის ხოლმე ძალიან სიცხე და მოსვლის შემდეგ კი აცივდება ხოლმე. მოსვლაზედ პატარა უწინ ისმის რაღაც ხმაურობა, უთოოთ ერთმანერთს რომ ხვდებიან, იმისია. სეტყვის შემდეგ ყოველთვის არის ელვა და კოკური წვიმა. ამისი მოსვლა არის ცოტა დროს, სულ რამდენიმე მინუტს მოდის,— იშვიათათ რომ ერთი ჩეთვერი საათი გასტანოს. მაგრამ ამ ცოტა ხანშიაც ძალიან ბევრსა ჰყრის და წანახედიც დიდი არის ხოლმე. რუსეთის ზარალი ყოველ წელს სეტყვისაგან არის მილიონ ნახევარი. ჯერ აქამდინაც ვერ შეუტყვიათ, როგორი დგება სეტყვა. მართლადაც რადგან უნდა მოხდეს, ცხელს თვეებში, შუადღისას და ისიც ძალიან მაღლა არა, რომ ჰაერში სინესტე ყინდება და მოდის.

ჰაერს პირველად იმიტომა აქვს დიდი მნიშვნელობა მცენარესათვის, რომ ყოველთვის გარეშემო არტყია და შიგ იზდება; ჰაერში იზდება ღერო და ფოთლები. გარდა ამისა ფოთლები სუნთქავენ ჰაერსა; და ამითი მომატებული ნაწილები გამოდის ჰაერში. ჰაერის მუშაობა (ქარს ნიავი) აქანებს და ანძრევს მცენარესა, რომელიც ძალიან სასარგებლო არის იმისთვის ბევრის მხრით. ჰაერი საჭირო არის იმისთვისაც, რომ ნივთები დალპნენ და გააკეთონ მცენარისთვის საჭირო საზრდო ანუ სინოყივრე. ცხოველებისათვისაც ჰაერი არის საჭირო, რომ ისუნთქონ. ცხოველნი ჰაერიდგანა ჰყლაპავენ მჟავემბადსა და გამოსუნთქავენ ნახშირმჟავესა, რომელიც შესდგება ნახშირისაგან და მჟავ ბადისაგან; ნახშირ-მჟაველი ჰაერზე მძიმე არის და ამიტომ ყოველთვის ძირის ადგილები უჭირავს. ამიტომაც ღრმა ორმოებში ძნელი არის სუნთქვა და სანთელიცა ქრება. ნახშირ-მჟაველი კაცს არ არგებს, მხოლოდ სწყენს. მცენარეთათვის არის საჭირო ნახშირ-მჟაველი; ისინი ჰყლაპავენ ნახშირ-მჟაველსა და გამოსუნთქვენ მჟავემბადსა, რომელიც ცხოველთათვის საჭირო არის. ეს არის მიზეზი, რომ საცა ბევრი მცენარე არის, იქ კარგი და მარგებელი ჰაერი არის.

---

## შინაური ცნობანი

კავკასიის სასოფლო სახლოსნობის კრების სეკრეტარმა, უ. სიტოვსკიმ, შეიტანა ერთს უკანასკნელს კრების სხდომაში პროექტი აქეთა კავკაზში სასოფლო სახლოსნობის კამმისიერობისა და სასოფლო სახლოსნობის შკოლის გამართვაზედ. ამ პროექტის ყოველის მხრით გასაშინჯველათ არის ახლა შემდგარი საკუთარი კამისია, რომელმაც უნდა შემოიტანოს თავისი აზრი კრების ყრილობაში.

ამ დროს ეს ორივე დაწესებაები დიდი საჭირონი არიან ჩვენის მხრისათვის.

რასწამს დაფუძნდა სასოფლო სახლოსნობის კრება აქეთა კავკაზში, მაშინვე აღმოჩნდა მაშინების გამოწერის საჭიროება; მაგრამ მხოლოდ 1862 ძლივს გამოიწერეს რომელიმე იმათაგანი. ისიც სულ ძვირი და მძიმე სახმარებელნი აღმოჩნდნენ. რასაკვირველია საქართველოში ჯერ, უნდა იაფი და ადვილი სახმარებელი მაშინები მოეტანათ, რადგანაც ჯერ არც ხმარებას იყვნენ შეჩვეულნი და არც თუ გამმართავი იყო, რომ მოშლილიყო.

მერე გამოიწერეს შუმანის გუთანი, სიმინდის საცეხვი დეპორტისა, სათიბი მაშინები, მაგრამ ეს მაშინებიც მაგდენათ ვერ გავრცელდნენ, რადგანაც ისავე მიზეზი უშლიდათ; მხოლოდ სიმინდის საცეხვი გამოდგა, და ისე შევიდა ხმარებაში, რომ ძველი საშუალებით, ე. ი. გოდორში ჩაყრითა და ჯოხის ცემით, იშვიათათღა ვინმე სცეხვამს — სიმინდს.

საჭიროება მაშინების ხმარებისა უფრო ძალიან გამოჩნდა მაშინ, როდესაც ყმები გაანთავისუფლეს, და მებატონეთ წაერთოთ მუქთი ხელები; სიძვირე მუშისა და სოფლის სახლოსნობის სარგებლიანობა თხოულობდა მაშინების ხმარებასა მუშაობაში. ამიტომ სახემწიფო — მამულების დეპარტამენტმა მისცა შეწევნა ფულით ერთს ანგლიის მეხანიკური ზავოდის აგენტს; ოტტო ვალსა, რომ იმან გახსნას ტფილისში სასოფლო სახლოსნობის იარაღის დეპო. დეპო ვალისა იყო აქ ოთხი წელიწადი, რომლის განმავალებაში გაყიდა რვა ასი თუმნის მაშინები. ვალი უფრო მეტს გაჰყიდდა, რომ სვინიდისიანათ მოქცეულიყო, მაგრამ ის თავის დეპოს ავსებდა დაწუნებული გუთნებით. შემდეგ ვალმა არც თავისი ვალი აასრულა და წავიდა კიდეც ლონდონში; იმაზედ დარჩა მმართებლობის ვალი ათას ორასი თუმანი.

ახლა საქართველოში აღარავინ არის იმისთანა, რომ ან გამოიწეროს მაშინები და ანუ ურჩიოს მოსახლეთ, რომელი მაშინა კარგი

არის; მაგრამ მაშინის საჭიროება კი სასოფლო სახლოსნობის მუშაობაში ყველა გრძნობს. ამიტომ პროეკტი უ. სიტოვსკისა კარგს დროს არის წარმოდგენილი. მართლად ახლა არის საჭირო საქართველოში სასოფლო სახლოსნობის კამისიონერობის გამართვისა. ეს კამისიონერობა უფ. სიტოვსკის აზრით, უნდა იყოს იმ გვარი, რომ შეეძლოს გაავრცელოს მხარეში ყოველი უკეთესი მაშინები, სახლოსნობის იარაღები, თესლეული სასარგებლო მცენარეთა, სასოფლო სახლოსნობის წიგნები, ჯინშიანი შინაური პირუტყვები; გარდა ამისა უნდა გამოიწეროს სხვა მხრიდგან მცოდნე მებაღეები, თამბაქოს მომყვანნი, ღვინის დამყენებლები და სხ; ამასთან იმისათვისაც უნდა ზრუნავდეს ეს კამისიონერობა, რომ რუსეთში და სამძღვარს გარეთა ჰქონდეს გასავალი აქაური მოსავლის საგნებსა. ამ გვარად ეს კამისიონერობა იქნება შუამავალი მეფაბრიკეებისა და მოსახლეებს შუა, მომზადებელთა და მომხმარებელთა შუა, და გარდა ამისა მცოდნე დამრიგებელი ჩვენის მხრის მოსახლეებისა, რომელთაც არ იციან ევროპაში რა ცვლილება მისცა სასოფლო სახლოსნობასა და სარჩოს მოპოების საშუალებასა მაშინებმა. ჩვენში თუ ამგვარი კრება არ არის, მაშინ უთუოდ ძველებურს გუთანსა და საცეხველს ხელიდგან არავინ გაუშვებს.

---

**განთქმული იურისტი.** იურისტი იმისთანა კაცსა ჰქვიან, ვინც კანონების ცოდნაში განთქმულია და ყოველივე სწავლა, რაც საზოგადოების წესიერებას, გაწყობილებას შეეხება, იცის ზედ მიწევნითა. ამ გვარი კაცები ჩვენში ძალიან გამოსადეგნი არიან და განათლების შემოტანაში თავიანთი წილი უდევთ.

ერთი ამ გვარი კაცი რაღაც საქმეზედ იყო ქალაქს გარეთა. იმ დროს ერთ სოფელში გლეხებს რაღაცა ყრილობა ჰქონიათ მოხელეების ამორჩევაზედ, თუ სხვა საქმეზე. როგორც ყოველთვის კრებას შეშვენის არამც თუ ჩვენში, არამედ პირველ განათლებულ ქვეყნებშიაც, ამ ყრილობაში დიდი აყალმაყალი და აურზაური ყოფილა. იურისტმა ესე იგი ყოვლის კანონის მცოდნე კაცმა არც აქეთ, არც იქით, იფიქრა ეს უწესობააო, აჯანყებააო. შეაკრევინა რამდენიმე გლეხი და გაგზავნა, საცა საჭირო იყო. ამბობენ ამაზე ბევრი უცინიათ. მაგრამ რა სასაცილოა? სასოფლო გამგეობის წესი და ხალხის ყრილობის რიგი რომ არ იცოდეს კაცმა, განა იურისტობის სახელი ჩამოერთმევა! სადღა აქვს იმდენი მოცალება რომ სოფლის კანონებიც დაისწავლოს.

მაგრამ ამ იურისტმა საქმის დაცვა, ესე იგი ადვოკატობა კი ძალიან იცისო. ისეთი დახელოვნებულია, რომ ვთქვათ ლუარსაბის საქმე აილო დასაცველათ, იმისმა მოდავემ, პეტრემ რომ მომეტებული მისცეს, ისე დაიცამს ლუარსაბის საქმესა, რომ უეჭველათ პეტრემ მოიგოს.

ამ შემთხვევაში კარგი იქნებოდა, რომ ლუარსაბს შეეტყო და ფული პეტრესაზე მოემატებინა. მასუკან პეტრე მოუმატებდა და ჩვენი იურისტი ასე გავარჯიშდებოდა საქმეების დაცვაში, რომ საისტორიო ადვოკატობის სახელს დაიმკვიდრებდა.

ამ გვარ საქმეებით იურიდიკულ აზრებს გაავრცელებენ ჩვენში, მაშ სადამე განათლება ამ მხრითაც წინ მიდის.

---

## რუსეთის ამბები.

**კვირა დღის შკოლებზე სამარის გუბერნიის ეკლესიებში.** სამარის ეპარხიის მოამბეში არის შემდეგი ცნობა იქაურ ეკკლესიებში კვირა დღის შკოლების გახსნაზედ. პირველ ს. ბლაღოჩინოში, ბუზულეცკის უეზდში, საკვირადღეო შკოლები გაიხსნა ამ წლის თებერვალში და მარტში. გლეხები ძალიან დადიან ამ შკოლებში: ვიდრე მინდვრის მუშაობა დაიწყებოდა, ისინი იყრებოდნენ ასობითა, სამასიდგან ექვსასამდე. უველაზე გულიანად ისმენდნენ მრევლნი საღვთო ისტორიის მოთხრობასა და სხვა წიგნებსაც, რომელიც მოთხრობასვე ეკუთვნოდა. ბოლო ამ გვარის სმენისა იყო ძალიან კეთილი, ამბობს მოხსენებული მოამბე, ასე რომ გლეხნი უწინდელსავით ერთი დუქნიდგან მეორეში აღარ დეეთრევიან, სოფელში ჩამოვარდა სიმშვიდე, და სიმთვრალეც დაცოტავდა.

**საგლეხო მოძრავი შკოლა.** არხანგელის გუბერნიის მოამბეში სწერენ: „შენკურის უეზდის გლეხთა, ორის სოფლისათა მოიწადინეს სწავლება თავიანთის შვილების— ქალებისა და ვაჟებისა. მაგრამ რადგანაც სამრევლო და სასოფლო შკოლები ძალიან შორს იყვნენ, (პირველი ოც ვერსზე და მეორე ოცდა ხუთზე) ამიტომ ბრკოლდებოდნენ თავიანთი შვილების იქ გაგზავნასა. ეს შკოლები თუმცა საზოგადო ხარჯზე იყვნენ, მაგრამ მაინც შვილებისათვის ოთახიც უნდა თითონ ეშოვნათ და საჭმელ სასმელიცა. სისაწყლე არ აძლევდათ ნებას, რომ ჰქონოდათ ეს ხარჯი და ამიტომ მოიგონეს მოძრავი შკოლა; ამ მოძრავს შკოლას არ აქვს სამუდამო ადგილი და იხსნება ჯერ ჯერობით სოფელში მცხოვრებლების სახლებში. ამასთან აქვსთ პირობა, რომ ყოველმა მცხოვრებმა უნდა მისცეს თითო კვირა სახლიცა შკოლისათვის; გარდა ამისა მასწავლებელსაც უნდა მისცეს ადგილიც, და ხარჯიცა, ამ ერთ კვირაში. ამგვარად შკოლა იმყოფება აგერ ეს ორი წელიწადია და იქ, სწავლობენ რვამდე პატარა ყმაწვილები ორივეს სქესისანი. ჯერ კითხვისა და წერის მეტს არას ასწავლიან რას. იმათი დედმამა სიხარულით აღარ არიან, რომ იმათი შვილები გულიანათა სწავლობენ წიგნსა. ამ გვარი ფაკტი ამტკიცებს, რომ მდაბალს ხალხს ძალიან ჰსურს სწავლა და ცდილობს კიდეც იმოდენად, რამოდენათაც აძლევთ ნებას ამათი შემჭირვებული მდგომარება.

---

## ავათმყოფის მოვლა.

უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს კაცმა, თუ როგორ ჰაერშია ავათმყოფი. თუ ჰაერი კარგამყოფისათვისაც მიუცილებელი საჭიროა, ავათმყოფისთვის კიდევ უფრო საჭირო უნდა იყოს. საუბედუროთ სოფლებში არ იციან ამისი ყურისგდება და ავათმყოფის საწოლს სახლებს აგდებენ ჰაერის გაუწმენდლათ. ის კი არა, ჰფიქრობენ, მძიმე ავათმყოფობაში ჰაერის გამოცვლა საშინლათ აწყენსო, მაშინ როდესაც ჰაერის გაწმენდა ამ შემთხვევაში ძალიან არგებდა.

მშობლები, ნათესაობა და მეზობლები იკრიბებიან ამ ვიწრო სადგომში, სადაც ავათმყოფი წევს და ამის გამო ჰაერი ისე ჰხდება, რომ თუ სენმა არ გადიტანა, ეს მყრალი ჰაერი დაახრჩობს. უეჭველად დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს კაცმა, რომ ეს უბედურობა მოაცილოს თავიდგან ავათმყოფსა. იმის ქვეშ საგების ხშირად გამზეურება, მზეში გა-

ფენა ძალიან საჭიროა და ამ დროს ავათმყოფი უნდა დააწვინონ სხვა ქვეშაგებში, რომლის გათბობაც საჭიროა. კრაოტთან ფარდები არ უნდა იყოს ჩამოფარებული, ამისთვის რომ ჰაერი ავათმყოფის გარემოს ვერ განახლდება და თუ სატკივარი გადამდებია, სენიანი ჰაერი მუდამ გარს ადგას. უფრო ბევრს ავათმყოფობაში თხუთმეტი გრადუსი სითბო სრულებით საკმაოა. სხვა და სხვა სუნი საზოგადოთ სძულს ავათმყოფსა. შეუნიშნავთ, რომ ყვავილების სუნისგან თითქმის იხრჩობოდნენ ავათმყოფები, დაწყობილ ვაშლების სუნიც ვერ აეტანათ.

იქვე გვერდით თუ ვინმე სდგას, იმათ უნდა სთხოვონ, რომ ცუდი სუნი არ დააყენონ.

ზოგნი თამბაქოს სწევენ იმ განზრახვით რომ ჰაერი გაიწმინდოს, მაგრამ ეს ტყუილია, ამისთვის რომ არც თამბაქოს კომლსა, არც ძმარს არ შეუძლიან სუნის გაჰქრობა, არამედ უფრო ამძიმებს ჰაერს; მხოლოდ ერთი კარგი საშუალებაა სუნის გამქრობი, რომელსაც ეძახიან ქლორის კირსა (აფთიაქში უნდა იკითხოთ хлористая известь). ოთახი ნათელი უნდა იყოს, თუ ეს არ აშფოთებს და არ აწუხებს ავათ-მყოფსა. მაგრამ შემაშფოთებელს ავათ-მყოფობაში, ციებაში ბოდვის დროს ცოტად უნდა დაბნელდეს ოთახი. რაც შეიძლება სიმყუდროვე უნდა იყოს, ერთი სიტყვით ლაპარაკი და ჩურჩული უნდა მოისპოს. გარეშე პირი უნდა გავიდეს ავათ-მყოფის ოთახიდგან. ხანგრძლივი ლაპარაკი არ მოსწონს ავათ-მყოფსა.

ავათმყოფთან სიწმინდე ძალიან საჭიროა. იმის ოთახში ყველაფერი დასუფთავებული უნდა იყოს; მაგალითად საცვალი, სახვევები, ემის სახმარებელი ჭურჭლები და სხვა ავათ-მყოფის საჭირო ნივთები. თუ ავათ-მყოფი შიგვე საწოლში გადის, ლეიბს კლეონკა უნდა ჰქონდეს გადაფარებული. სოფელში ავათ-მყოფს თავიან ფეხებიანა გამოახვევენ საბანში და ამ სახით ავათ-მყოფობა თან-და-თან ძლიერდება; ნაალის ბუმბული) არ უნდა გაუფინოთ იმას, რადგან ძალიან მალე აშრობს და ასუსტებს. ცხენის ბალნით ან მატლით გატენილი ლეიბი უფრო კარგია იმისთვის. ცოტათ თავთან აწეული უნდა იყოს, ეს უფრო გამოადგება მაშინ, როდესაც სისხლი აქვს თავში ავარდნილი.

დათმობაზე საზოგადოთ არა ითქმისრა. სოფლის ხალხისთვის უფრო საჭიროა ყოველს ავათ-მყოფობაში მოთმინებას მისცეს თავი, მომეტებული არც სვას, არც სჭამოს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ციებიანი დაითვრება, ან მომეტებულს შესჭამს რასმე ძნელათ მოსანელებელს, რომელსაც შეუძლიან თან გადიტანოს ავათ-მყოფი ამის გამო უნდა ურჩიოთ ოჯახობას, სადა ავათ-მყოფია, რომ ძალიან გაუფრთხილდენ და იმისთანა ძნელი მოსანელებელი არა შესჭამონ რა და თუ მაინცა და მაინც რამე აწყინა, თბილი წყალი უნდა დაალევინონ, რომ პირიდგან საქმობით კუჭი გაეწმინდოს.

ავათ-მყოფი, რომელნიცა ნიადაგ უნდა იწვენენ, იმ შემთხვევაში მაგალითად, თუ რამე მოიტეხა, ისინი უნდა ადგნენ ხოლმე ძალიან სიფრთხილით. მაშინ ჭერიდგან თოკი უნდა ჩამოუბა ავათმყოფს და ზედ ჯოხი უნდა ჩამოჰკიდო, რომელსაც ავათმყოფი ხელს მოჰკიდებს წამოდგომის დროს.

---

## ზნეობითი ყურისგდება.

შეუწყალებელი გულის პატრონი იქნება ის კაცი, რომელიცა არა ჰფიქრობს, რომ ყველას უმართებს ავათ-მყოფის პატივისცემა და ყურადღება. როცა ავათ-მყოფი ჰხდება ცუდი ზნისა და ანჩხლი, არ უნდა შეშფოთდეს უზრუნველი, ამიტომ რომ ყოველ გვარი ცვლილება იმაში თვითონ სენის ბრალია.

მართალია ავათმყოფობა ხშირად გვიცვლის ზნებას, გვხდის დაუნდობლათ, ავიზნისას, ანჩხლსა, მაგრამ რადგან ამდროს ნება ძალიან მოუძლურებული გვაქვს და რადგან შეიძლება ყოველს კაცს ესევე შეემთხვეს, ამისგამო არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რადგან ყოველივე ცვლილება ზნეობაში მოხდება მის უნებურათ. ყველას უნდა ურჩიოთ, რომ ავათმყოფის სიანჩხლემ არ გააჯავროს და მოთმინებით აიტანოს ყოველივე, არ მოერიდოს გადამდებს ავათმყოფობას და ყოველთვის სიყვარულით ექცეოდეს. უნდა აგონებდეს ავათმყოფს, რომ ყოველივე ტკივილი მოთმინებით აიტანოს. არიან ზოგნი, რომელიცა ავათმყოფის გვერდით სწუხან, ეს ყველაზე უფრო ართმევს ავათმყოფს მხნეობასა. ის ყოველთვის უნდა ჰხედავდეს თვის გარემო პირნათლიანს, გაუჯავრებელს სახესა; უნდა ელაპარაკებოდნენ, რომ მალე მორჩებიო. ბევრი არა უნდა უთხრა რა მძიმე ავათმყოფს, როცა ის დაიწყებს ლაპარაკს სიკვდილზე, ამიტომ რომ ეშმაკობით მოსდის ესა, რომ შეატყოს, მზრუნველები რა აზრისანი არიან იმის ავათმყოფობაზე.

არ უნდა ახსენოთ იმ ავათმყოფობის სახელი, რომლითაც არის ავათა. მაგრამ რომ ავათმყოფი არ შეშინდეს, იმისთანა ადვილ მოსარჩენი სენის სახელი უნდა უთხრა, რომ არ ეშინოდეს; ბოლოს რაც კი აღელვებს ავათმყოფს, ყველაფერი უნდა მოაშორონ. ასე გასინჯე მეტის-მეტი სიხარულიც კი ავნებს ავათ-მყოფს.

---

## კანის ავათმყოფობანი

### ს ი რ ს ვ ე ლ ა, პ ა რ ტ ა ხ ტ ი.

ყველა ამ გვარი ავათმყოფობა ჩნდება კაცის ტანზე სხვა და სხვა ტკივილებისაგან, რომელიცა ჩნდება კანზე და გაგრძელდებიან ან დიდხან და ან მალე ჰქრებიან. ზოგი ამ ავათმყოფობებთაგანი რამდენსამე წელიწადს გასტანს.

გარდა მჭამელისა ამ ავათმყოფობებს არა აქვთ დიდი გავლენა კაცის სიცოცხლეზე, მხოლოდ ეს არის, რომ თუ დიდხანს გაგრძელდა, ტანს შეაწუხებს და კიდეც გახდის კაცსა. სირსველებს შორის ზოგი გადამდებიც არის.

აი უმთავრესი ღონისძიება მის მოსარჩენათ: თუ ძალიან ეწვის კანი და ჰხურს კიდეცა, ჯერ უნდა დააცხროს კაცმა ზნის ატანა ხახვის ან დაფხვნილი კარტოფილის ან მალოქის დადებით ნატკენზედ. აგრეთვე შეიძლება ცივს ან თბილს წყალში ჩაჰყოს კაცმა ხელები; ავათმყოფი თუ ახალგაზდაა და მოწიფული შეიძლება სისხლი გაუშვას. ამასთან წაქაც უნდა სვას; საჭმელი ადვილათ მოსანელებელი უნდა, რაც გაახურებს, იმისთანა არა უნდა მიიღოსრა.

დასადებები კიდევ იმითია კარგი, რომ სწმენდს კანს ჩირქისაგან და ქერტლისაგან. როცა ქერტლი მოსცილდება, თუ იარა თავისით გახმება, რასაკვირველია, იმას სხვა წამლობა არა უნდარა იმის მეტი. ქერტლის ჩამოვარდნის შემდეგ თუ იარა მაინც არა სცილდება, მაშინ უნდა იხმაროს კაცმა ხუთი გრანი კალომელი (აფთიაქში იკითხე) და ერთი უნცია ქონი, რომელნიცა ერთმანეთში უნდა აურიონ. როდესაც სირსველი იარიანია და გასტანს რამდენსამე თვესა და წელსა, იმის მოსარჩენად ვხმარობდი, აი ამ გვარს მალამოსა: ნახევარს უნციას მჭვარტლსა და ერთს უნციას ქონს ძალიან აურევდი. ჭვარტლი მეტ ნაკლები უნდა იხმარონ იმისდაგვარად, თუ როგორ გაძნელებულია სვირსვალი. ნავთის მალამოც ძალიან კარგია მრავალ გვარი სვირსვალის მოსარჩენად ორი დრახმი ნავთი და ერთი დრახმი საკმელი უნდა შეურიონ ერთს უნციას ქონსა.

თუ სვირსვალი ხანგრძლივია და იმისაგამო ტანის კანი ეწვის კაცსა, მაშინ ნაცარწმულში უნდა აბანოს კაცმა და ამას უნდა დაუმატონ შინაგანი წამლობა: გასახსნელი წამალი.

ჩირქიანს სვირსვალს ეტყვიან, როდესაც თეთრ ბალღმიანი მუწუკები გამოჰყრის ტანზე; ამის მოსარჩენად საკმაოა მახათით გამოაწყოს კაცმა ყოველი მუწუკი, მაგრამ ერიდოს კი, რომ კანი არ გაიხიოს მახათითა, თორემ იარა გაძნელდება საშიშრათ.

უბრალო სვირსვალი ჩნდება ტანზე რგოლებათ და თავისით გაივლის ხოლმე; არაფრის დადება არ უნდა ზედა. მჭამელა სვირსვალი ჩნდება უფრო ხშირად პირზე. ჯერ პირის კანზე შემსივნდება, გაწითლდება და ზედ მუწუკი გამოაჩნდება; ის არის მყრალი. ეს სვირსვალი თანდა თან ძვლამდინ ჩასჭამს ხოლმე ხორცსა.

ამისთანა სვირსვალის მოსარჩენათ ჯერ წურბელას მოჰკიდებენ ავათმყოფ ადგილზე. ამ ავათმყოფობის უკანასკნელს ჟამს ჭრილობის ექიმი მაინც დასჭირდება. თუ სვირსვალი დიდხანს არ გადვიდა, უეჭველად საჭიროა ჰექიმის მოყვანა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го декабря, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.